ყასაბი და მყიდველი

ერთი კაცი მივიდა ყასაბთან, უთხრა: ძმაო, ფასი მზა არა მაქვს, ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასსა მოგცემო.

ყასაბმან უთხრა: შენ არ გეკადრება სისხლიანი ხორცი გეპყრას და მიხვიდოდე: სადგომს მიდი, ერთის მონის ხელით შენის თმის ბეწვი გამომიგზავნე, ვინიშნებ და გამოგაგზავნიო.

წავიდა კაცი იგი და ერთის მონის ხელით თმის ბეწვი გამოუგზავნა. მოუტანა მან კაცმან და უთხრა: მან კაცმან გამოგიგზავნა ნიშნად ბეწვი და ხორცი გთხოვაო.

ყასაბმან უთხრა: ვაჟო! თვით აქ იყო, წვერიცა და ულვაშიც ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცოხნიც არ ვაჭამე, ახლა ერთის ბალნით ბევრი რად გავუგზავნოო=

– შენც ისე როტავ. მეფის შვილი და ვაზირი რომ შენთვის კარგნი იყვნენ, მაშინ როდის იყო მეფე შენზე გულტკბილად, რომ ახლა ესენი გემდურვიან, მეფე შენზე გულგაურყვნელად იყოსო=

უთხრა პასუხად რუქამ არაკი: